თვალიერება - View, Look over - Разглядывание

მხედველობით მოდალობაში მეტ-ნაკლებად **მიზანმიმართული აღქმისა** და **ესთეტიკური გრძნობის** ერთობლივი ქმედება; მიზანმიმართული აღქმა აღქმულის **ესთეტიკური განცდისა** და **სიამოვნების**, ანდა **ესთეტიკური შეფასების** მიზნით. ყველაზე მკაფიო მაგალითებია სახვითი ხელოვნების ნაწარმოების, ან ბუნების, ან ლამაზი ნივთის **თ**. ხოლო მაგ., შემეცნებითი ტექსტის წაკითხვა არსებითად **დაკვირვებას** განეკუთვნება, ისევე როგორც ლექციის მოსმენა – მათში მთავარია არა **აღქმა**, არამედ **აზროვნება.**

უბრალო მხედველობითი აღქმისგან, დანახვისგან განსხვავებით, **თ ქცევის ფორმაა**, რადგან აქვს საკუთარი **მოთხოვნილება**. **თ**-ს ზოგჯერ ერთვის მიზანმიმართული აღქმის სხვა სახეობა: **მოსმენა** (მაგ., ცეკვის ან ფილმის ყურებისას), ან **დაგემოვნება** (მაგ., სასმელის გამოფენაზე) ან **ესთეტიკური შეხება** (მაგ., **სატრფიალო თამაშისას**). ლიტერატურული ნაწარმოების წაკითხვისას მთავარია არა **თ**, არამედ **გააზრება** და **ესთეტიკური გრძნობა.**